საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/3701
04/06/2026

3701-01-2-202606041557

ვლადიმერ შანიძეს (პ/ნ [illegible])

მის.: ქ. თბილისი, [illegible]

ელ-ფოსტა: [illegible]

ტელ: [illegible]

თქვენი განცხადების პასუხად მოგახსენებთ, რომ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ატარებს შესაბამის ღონისძიებებს, მათ შორის:

- შეისწავლის მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლების შესაძლო დარღვევის ისეთ ფაქტს, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევა;
- საქმის შესწავლის მიზნით განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვს ინფორმაციას (მათ შორის, კონფიდენციალურ ინფორმაციას), რომელიც სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სჭირდება;
- უფლებამოსილია საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა მოვაჭრის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის შესახებ;
- იწვევს მხარეებს/დაინტერესებულ პირებს ახსნა-განმარტებების მისაღებად.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის განმავლობაში აღმოაჩინა, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე იგულისხმება, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, თუ, საქონლის ბუნებიდან ან ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შესაძლებელია. ამ შემთხვევაში

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

მტკიცების ტვირთი მოვაჭრეს ეკისრება. თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის შემდეგ აღმოაჩინა, იმის მტკიცების ტვირთი, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, მომხმარებელს ეკისრება.

გამომდინარე იქედან, რომ თქვენს მიერ ნივთის შეძენიდან/მფლობელობაში მიღებიდან გასულია 6 თვეზე მეტი, აღნიშნული კანონის საფუძველზე, იმის მტკიცების ტვირთი, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, გეკისრებათ თქვენ. შესაბამისად, გთხოვთ, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოთ მტკიცებულებები (მაგალითად: ტექნიკური დასკვნა/ექსპერტიზის დასკვნა), რაც დაადასტურებს ნივთის თავდაპირველ ნაკლს.

პატივისცემით,

ამათი ამაროვი

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი